საქართველო. თბილისი
ისნის რაიონის გამგეობა

ISANI
DISTRICT ADMINISTRATION OF TBILISI

№ 08-114

23 აპრილი 2013 წ

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისის ისნის რაიონის მაცხოვრებლის თამარ კაცობაშვილის

განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე

ქ. თბილისის ბიუჯეტიდან ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ქ. თბილისის ისნის რაიონი ახორციელებს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრასა და ჯანსაღი ხეების ფორმირების პროგრამას, რომელიც გულისხმობს ხეების გადაბელვას და გასხვლას. 2013 წლის 17 აპრილს მოქალაქე თამარ კაცობაშვილმა, მცხოვრები ბოროდინოს ქ. №22/9–ში, განცხადებით მომართა ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობას და ითხოვა ერთი ძირი ხის მოჭრის ნებართვა. მოქალაქე საკუთარი ძალებით განახორციელებს აღნიშნული ხის მოჭრას უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ,,საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 34[1]–ე მუხლის, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №2.01.32 დადგენილების მე–3 და მე–4 მუხლების, „ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2013 წლის 28 თებერვლის №6 ბრძანების 36–ე და 37–ე მუხლების შესაბამისად,

ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობა ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე თამარ კაცობაშვილის 2013 წლის 17 აპრილის №12/43409–23 განცხადება და გაიცეს ერთი ძირი ხის მოჭრის ნებართვა. მოქალაქე საკუთარი ძალებით განახორციელებს აღნიშნული ხის მოჭრას უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.
2. ზემოაღნიშნული სამუშაოს შესრულების უზრუნველყოფა დაევალოს ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის განყოფილებას.
3. აღნიშნული დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს გამგებლის მოადგილეს ბესიკ დონაძეს.
4. წინამდებარე დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი: თორნიკე ბუციშვილი

აპარატის უფროსი: ლალი ჯავახიშვილი

№8-1 Navtlugis str, Tbilisi 0113 Georgia
Tel.: 2 31 88 86